ხელშეკრულება მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №26

ქ. თბილისი **20 იანვარი 2016 წელი**

ჩვენ, ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, მდებარე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2, წარმოდგენილი უფროსის ელენე დუმბაძის სახით (შემდგომში– შემსყიდველი), ხოლო მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსი", მდებარე: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ. №5, წარმოდგენილი დირექტორის დავით ჭეიშვილის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ასევე საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილებისა და საქართველოში სხვა მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის MAZDA 3 (სახელმწიფო ნომრით VVU-856) ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება (იხ. დანართი №1 და №2) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2 შესყიდვის ობიექტია: „შემსყიდველის" ბალანსზე რიცხული ავტომანქანის MAZDA 3 (სახელმწიფო ნომრით VVU-856) ტექნიკური მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დანართი №1 და №2–ის შესაბამისად.
1.3 კლასიფიკატორის კოდი: 501 000 00, 501 100 00.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2 500 (ორიათასხუთასი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის, ასევე ყველა ხარჯის, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან) ჩათვლით.

3. გაწეული მომსახურების ვადები და ადგილი

3.1. მომსახურების გაწევის თარიღი: 2016 წლის 20 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3.2. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სავალ ნაწილებზე- დეფექტური აქტის წარდგენიდან არაუმეტეს 1 დღისა; ძრავის ნაწილებზე- დეფექტური აქტის წარდგენიდან არაუმეტეს 7 დღისა და სხვა ნაწილებზე- დეფექტური აქტის წარდგენიდან არაუმეტეს 3 დღისა.
3.3 მომსახურების გაწევის ადგილი: დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ. №5

4. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება გაწეულად, მხოლოდ ურთიერთშეთანხმებული დეფექტური აქტისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. მომსახურების ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის, ან ნაკლის აღმოფხვრას, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".
4.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია შეცვლილ სათადარიგო ნაწილზე ქარხნული გარანტია გაავრცელოს მინიმუმ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, შეკეთებულ ნაწილზე გარანტია უნდა ვრცელდებოდეს მინიმუმ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.
4.4 იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა რომ მიმწოდებლის მიერ არ არის სრულყოფილად შესრულებული მომსახურება და/ან შეცვლილი ნაწილი აღმოჩნდა წუნდებული, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.
4.5 თუ ავტომანქანის შეკეთების მომსახურებისთვის საჭიროა ნაწილის ჩამოტანა საზღვარგარეთიდან, შეკეთების მაქსიმალური ვადა შეადგენს დეფექტური აქტის შედგენიდან არაუმეტეს 20 კალენდარულ დღეს. ზემოაღნიშნული ვადების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველთან შეთანხმებით, მიმწოდებელს შესაძლებელია მიეცეს დამატებითი ვადა არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ოდენობით.
4.6 ავტოტრანსპორტის მომსახურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლისა და შემსყიდველის წარმომადგენლობის მიერ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტის შედგენის შემდეგ; რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო საქონლის (სათადარიგო ნაწილების) დეტალური აღწერა, ღირებულება, მომსახურების დაწყების ვადა და შესმყიდველთან შეთანხმებული სხვა ინფორმაცია.
4.7. „შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურებისა და წუნდების მიზეზის მითითებით.
4.8 მომსახურების ობიექტის მიღება-ჩაბარებას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლების დასკვნის საფუძველზე განახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი (ხ.ბენდელიანი).

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
- შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
5.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:
- დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
5.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
5.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

6.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

6.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
6.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო.
7.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): მომსახურების გაწევის შემდეგ, აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმებული დეფექტური აქტისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.
7.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ურთიერთშეთანხმებული დეფექტური აქტი და მიღება-ჩაბარების აქტი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.
8.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.5 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.5%-ს.
8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს–მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური

მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
9..2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების ხარისხის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა – ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.
10.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ, „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ მომსახურების ნაკლს წუნდების მიზეზების მითითებით.
10.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან ანხორციელებენ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
11.2 თუ მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის უშედეგოდ გასვლის შემდგომ დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

12.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
12.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:
ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
ბ) ამ ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების „მხარეთა" მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
13.2. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.4. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ცნებების განმარტებისას ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
მის: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
სს „ლიბერთი ბანკის“ ც/ფილ
ბ/კოდი: LBRTGE 22
ა/ა GE 95 LB 012 515 210 162
ს/კ 204 495 055

მიმწოდებელი:

შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსი“
მის: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის
ხეივანი, მე-12კმ. №5
ს.ს „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: TBCBGE 22
ა/ა GE 60 TB 707 653 602 010 0010
ს/კ 401 950 938

ელენე დუმბაძე

დავით ჭეიშვილი

		დანართი N1
N	საქონლის დასახელებები	ფასი (ლარი)
1	წინა სამუხრუჭე ხუნდები	140.00
2	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	190.00
3	მინის მწმენდი წინა მარჯვენა	45.00
4	მინის მწმენდი წინა მარცხენა	50.00
5	წინა სტაბილიზატორის მილისა	20.00
6	უკანა სტაბილიზატორის მილისა	16.00
7	წინა სტაბილიზატორის კრონშტეინი მც	70.00
8	წინა სტაბილიზატორის კრონშტეინი მჯ	70.00
9	უკანა სტაბილიზატორის კრონშტეინი მც	85.00
10	უკანა სტაბილიზატორის კრონშტეინი მჯ	85.00
11	ჰაერის ფილტრი	35.00
12	ზეთის ფილტრი	12.00
13	სალონის ფილტრი	60.00
14	ძრავის ზეთი	26.00
15	საწვავის ფილტრი	65.00
16	ანთების სანთლები	15.00
17	ღვედი PK	110.00
18	ღვედის ამყოლი გორგოლაჭი (PK)	95.00
19	ღვედის დამჭიმი მექანიზმი	455.00
20	საჭის წევა	110.00
21	საჭის წევის დაბოლოება მჯ.	125.00
22	საჭის წევის დაბოლოება მც.	125.00
23	წინა ამორტიზატორი მჯ.	225.00
24	წინა ამორტიზატორი მც.	225.00
25	წინა ამორტიზატორის საყრდენი ბალიში	55.00
26	წინა ამორტიზატორის საყრდენი საკისარი	80.00
27	წინა ამორტიზატორის ლიმონჩიკი	35.00
28	წინა ამორტიზატორის მტვერდამცავი	25.00

აპარატის უფროსი

ელენე დუმბაძე

შ.პ.ს. "თეგეტა პრემიუმ ვიიქელს"
დირექტორი

დავით ჭეიშვილი

		დანართი N2
N	**საქონლის დასახელებები**	ფასი (ლარი)
1	წინა სამუხრუჭე ხუნდების შეცვლა	25.00
2	უკანა სამუხრუჭე ხუნდების შეცვლა	25.00
3	მინის წმენდების შეცვლა	10.00
4	წინა სტაბილიზატორის მილისების შეცვლა	40.00
5	წინა მც სტაბილიზატორის კრონშტეინის შეცვლა	20.00
6	წინა მჯ სტაბილიზატორის კრონშტეინის შეცვლა	20.00
7	უკანა სტაბილიზატორის მილისების შეცვლა	40.00
8	უკანა მც სტაბილიზატორის კრონშტეინის შეცვლა	20.00
9	უკანა მჯ სტაბილიზატორის კრონშტეინის შეცვლა	20.00
10	ჰაერის ფილტრის შეცვლა	10.00
11	სალონის ფილტრის შეცვლა	20.00
12	ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა	20.00
13	საწვავის ფილტრის შეცვლა	70.00
14	ანთების სანთლების შეცვლა	40.00
15	ღვედის შეცვლა	30.00
16	ღვედის დამჭიმი მექანიზმის შეცვლა	10.00
17	საჭის წევის შეცვლა	20.00
18	საჭიწ წევის დაბოლოება მჯ შეცვლა	15.00
19	საჭის წევის დაბოლოება მც შეცვლა	15.00
20	წინა მჯ ამორტიზატორის შეცვლა	30.00
21	წინა მარცხენა ამორტიზატორის შეცვლა	30.00
22	წინა ამოტიზატორის საყრდენი ბალიშის შეცვლა	30.00

აპარატის უფროსი

ელენე დუმბაძე

შ.პ.ს. "თეგეტა პრემიუმ ვიიქელს"
დირექტორი

დავით ჭეიშვილი